

ებრაელი

1883—1901
გენერალური



შე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსან კეთილმან სული თვისი
დაბადვის ცხოვართათვის. იარ. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი
და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 7

1883—1901

1—15 აპრილი.

ჩრისტე აღსდგა!



აღდგომასა შენსა ქრისტე მაცხოვან, ან-
გელოსნი უგალობენ ცათამინა და ჩვენცა
ქვეანასა ზედა ღირს-მეუენ, წმიდითა გული-
თა ღიდებად შენდა.

აღდგომისა დღე არს განვიტრინდებო-
დეთ დღესასწაულსა ამას. და ურთიერთარს
შევიტებოთ და გსეუკათ მმათა ჩვენთა, მოძუ-
ლეთაცა ჩვენთა შეუძლოთ ეოველი აღდგომისა,
და ესრეთ დვთივ წეინვალედ ლალად-კუოთ:
ქრისტე აღსდგა მკარეთით და სიკვდილით
სიკვდილი დაჭით იუნა და მეოფონ საფლა-
ვისათა ცხოვრება მძღვანელა.

ჩვენი მოლოდინი, მადლობა ღუერთს,
აღსრულდა.

ბევრი ამაოდ მორწმუნეობა და ბევრი რამ
ცუდი ჩვეულება არსებობს ჩვენს დაძალ და, თუ
გნებაკეს, მაღალ წოდების საზოგადოებაშიაც. ყველა
კარგად ვხელავთ, თუ რა დამღუბველი შედეგი
მოსდევს ზოგიერთ ამისთანა ჩვეულებას და ქცევას
ხალხისათვის. ყველას გული შეგვტკივა ხალხის
კეთილ-დღეობისათვის, ყველას საკიცხავად მიგვაჩ-
ნია ეს საზარალო და ცუდი ჩვეულებანი, ყველანი
ვამბობთ, რო ჩვენს ხალხს ეს ცუდი ჩვეულებანი
საბოლოოდ გააღატაკებს და მის ოჯახობას ძირს
დასცემს, მაგრამ ჩვენგანის მარტო სიტყვა ისმის და
საქმით კი ჩვენი გულის-თქმა, ჩვენი ნატერა სი-
რულეში არ მოგვყავს.

ამ უამაღ სხვათა მრავალთა ცუდ ზე-ჩვეულე-
ბათა შორის ჩვენ დავასახელებთ გარდაცვალებულთა
დასაფლავების აღსრულებას, ჭირის დღეს, როგორც
ჩვენში იტყვიან, განსაუთრებით დასავლეთ საქარ-
თველოში. აქ გარდაცვალებულთა დასაფლავების
დროს ძალიან ბევრ ცუდ საქციელს და ამაოდ-მორ-
წმუნეობრივ ჩვეულებას გაძლევენ; განათლების
გავრცელებისთანავე ხალხში თითქმის ყოველი ცუდი
ზე-ჩვეულება სუსტდება და ბოლოს დროს სრუ-
ლებით ისპობა, მაგრამ, სამწუხაროდ, გამოტირილის
სხეა-ღა-სხვა მავნებელი ჩვეულებანი არა თუ სუსტ-
დებიან და ისპობიან ჩვენში, არამედ ფეხს იდგმენ
ხალხში და უფრო მტკიცედ და შეუცვლელად
სრულდებიან. ხალხს სრულებით მიუტოვებია ეკ-
კლესიური წესები გარდაცვალებულთა დამარხვისა
და აღასრულებს ისეთს ჩვეულებას და მოქმედებას,
რომელიც წმინდა ეკკლესიისაგან უარყოფილი, აღ-
კრძალულიც და ყველა შეგნებულ ხალხთაგანაც
სამარადისოდ წეს-აგებულია. წმიდა მართლ-მადიდე-
ბელი ეკკლესია ასწავებს, რომ გარდაცვალებულნი
უთურდ მესამე დღეს უნდა იქმნენ დასაფლავებულ-
ნი. ჩვენში კი გარდაცვალებულთ არ ასაფლავებენ
ხუთ-ექვს დღემდე და ხან თუთხმეტი დღე უსკენიათ
მიცვალებული სახლში. წმიდა ეკკლესიის სწავლი-
საებრ—მესამე დღეს უნდა იქმნეს შესრულებული
წესის აგება, მესამე დღესვე წირვა და სულის მოხ-

სენება. ჩვენში კი მესამე და მეცხრე დღის მოხსე-
ნება სრულებით დავიწყებულია როგორც მრეცლ-
თაგან, ისე მღვდელთაგან. ჭირისუფალნი ხან-დის-
ხან ათი დღის განმავლობაში დიდის მოწიწებით
ასრულებენ ზარით ფარისევლურ ტირილს, რომე-
ლიც არც ნივთიერად, არც სულიერად არავის სარ-
გებლობას არ მოუტანს,— ჭირიქით ხალხს ღუპავს
და საუკუნოდ ვალში აგდებს. ყველა ამ უბედურ
და უკუღმართ ჩვეულებას დაუმატეთ კიდევ ის, რომ
სამი დღის შემდეგ გარდაცვალებულის გვამი იხრწ-
ნება განსაკუთრებით ზაფხულში და ისეთი სუნი
დგება ოთახში, რომ კაცის დღომა შეუძლებელია—
განსვენებულთან ერთად. ამ შემთხვევაში ხშირად
ჭირისუფლები ველარ სძლებენ იმ ოთახში, საღაც
გარდაცვალებულია დასვენებული, ამისათვის ისინი
განსვენების დღეს სხვა ოთახში სხდებიან და მომ-
ტირალს იქ იდებენ. მომტირალი ცოტა დროით
როგორც არის ცხვირზე ხელსახლც მიფარებული
გაუძლებს გარდაცვალებულის გვამის სიმყრალეს და
მალე გამოდის ოთახიდამ, მაგრამ რა უნდა ჰქნას
მღვდელმა, რომელსაც ვალდებულად ხდიან, რომ
მთელი დღე განსვენებულის გვამს თავზედ ადგენ
და ამისთანა გაფუჭჭებული ჰაერით ისუნთქოს?

როგორც ზემოთ მოვიხენიეთ, ხალხში განათ-
ლების გავრცელებისთანავე ყოველ ნაირი ამაოდ-
მორწმუნეობა და ცუდი ჩვეულებანი სუსტდებიან
და ზოგი სრულებით ისპობა; მაგრამ გარდაცვალე-
ბულის დამარხვის დროს ჩვენში არსებული ცუდი
ჩვეულებანი არა თუ სუსტდებიან და ისპობიან,
არამედ უფრო ძლიერდებიან და მრავლდებიან. რა
უწყობს ხელს ამ ცუდ და მავნე ჩვეულებათ ხალ-
ხში განმტკიცებას? ბოლიშ ვიხდით ჩვენი სამღვდე-
ლოების წინაშე, რომ ამ შემთხვევაში იძულებული
ვართ ბრალი დავსდევათ მათ. ამ ცუდმა და მავნე
ჩვეულებამ ისე ღრმათ გაიდგა ფეხსი ჩვენს საზოგა-
დოებაში მისოვის, რომ მწყემსნი ნებას მიჰყონენ
სამწყსოთა უგუნურებას, ცხოვარნი თვისინი გაუშვეს
წინ და თვითონ უკან გაჰყვნენ... მრავალს აღი-
ლას, სამწუხაროლ, თვითონ მღვდელნიც გაღარ-
ბებენ უბრალო ხალხთა ამაოდ მორწმუნეობის აღ-
სრულებაში. ხშირად ესწრებიან ამ გამოტირილზე
სასულიერო მთავრობის პირებიც, მაგრამ არაფითარი
მხილება, არავითარი განკიცხვა არ ისმის მათგან.
ყველანი ჭირში აფერებენ ჭირისუფალთა, ყველანი

თითქმის აქეზებენ მათ ამისთანა უგვანო საქციელის აღსრულებაზედ. უკელა ამა მიზეზთა გამო ხალხი, დარწმუნებული და დაიმედებული თავისი საქციელის საფუძვლიანობაში, უკველივე ღონის-ქიებას ხმარობს, რომ უკველი ამაოდ მორწმუნეობრივი ჩვეულებანი თავიანთ გარდაცვალებულთა დამარხვის დროს მტკიცედ აღასრულოს და ასრულებს კიდევ.

იმერული გამოტირილის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა დღემდის. ბევრი უთქვამსთ იმის შესახებ, რომ ტირილის მოშლა არ შეიძლება; ბევრი უთქვამსთ იმის შესახებაც, რომ იმერულ გამოტირილს ჩინებული და საქები მხარეებიც აქვთ. ამ შემთხვევაში მომხრენი ყოველთვის უჩვენებენ გადასახურავს, ფულებით დახმარებას. ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ჩვენებურად გამოტირილის მოსპობისათანავე ყველა ეს კარგი ჩვეულებანიც მოისპობიანო და სხვა-და-სხვა.

ძლიერ შემცდარად ჰამინი გადაპრანჭული გამოტირილის შესახებ. ტირილი ჭირისუფალთაგან არასოდეს არ მოისპობა, ვისაც ეტირება გარდაცვალებული, ის ყოველთვის იტირებს, არ უნდა მას არც შენი ზარი და არც ჭვითინი, ვისაც გადახურვა, ფულით დახმარება უნდა, ის გამოტირილზედაც რომ არ მოვიდეს, ისეც გადახურავს, დახმარება. ან რა გადახურვა, დახმარება არის ის დახმარება, როდესაც ჭირისუფალს ასი მანეთი შემოუდის ჭირის დღეს და სამასი მანეთი ეხარჯება ხალხის გასაძლომად! ეს არის დახმარება? ნუ თუ ვერ დარწმუნდა კიდევ ხალხი იმაში, რომ ეხლანდელ დროში გადასახურავი ფულების დაბრუნება კი არა, ვექსილებით გაცემული ფულების ამოგებაც სჭირს.

დროა სწორედ, დრო, გამოფხიზლდნენ უკელანი და ეცაზნენ მოსპონ ყველა ცუდი და დამლუპველი ჩვეულებანი, როგორც გარდაცვალებულთა დამარხვის დროს ასასრულებელნი, ისე სხვანი. დრო არის სასულიერო წოდებამ აღამაღლოს ხმათვისი და მოითხოვოს, რომ გარდაცვალებულნი ქრისტიანენი ქრისტიანულად იყვნენ დამარხულნი. დრო არის სასულიერო მთავრობამ მიაქციოს ყურადღება და მოითხოვოს სამღვდელოებისავან, რომ უკანასკნელმა მტკიცედ აღასრულოს თავისი მოფლეობა და თვითონ არას გზით არ აღასრულოს ის უბედური და მავნე ჩვეულებანი, რომელსაც ასე

მტკიცედ ასრულებენ ჩვენში. სირცხვილია, რომ მარტო დასავლეთ საქართველოში და მთიულ ხალხში არის დაშთენილი გარდაცვალებულთა დამარხვის დროს ამდენი ცუდი ჩვეულებანი და სხვაგან კი ამის მსგავსს ვერავერს ვენ ნახავს კაცი. ნუ თუ სირცხვილად არ უნდა მიგვწნდეს ის, რომ ასე დაგვინინი ყველა განათლებულნი პირი ამ ჩვენი ფარისევლური ტირილისათვის?.. ნუ თუ ვინმე მომტირალთაგანი ჰამინი არ უნდა მიმდინარეობს, რომ მასს მისი ჭყანვით და მტირალი სახის მიღებით მართლა მომტირლად სთვლიდენ მაყურებელნი!.. ნუ თუ ყველანი არ გრძნობენ და მიმხვდარნი არ არიან, რომ ვისაც ეტირება გარდაცვალებული, ის უზაროთ და უხმოთაც სტირის და ვისაც არ ეტირება, ის ფარისევლურად მარტო საჩვენებლად იჭყანება?

როდესაც იმერულ ფარისევლურ ტირილის მოშლაზე ჩამოვარდება ლაპარაკი და წერა, მაშინვე ამას მოგიგებენ ზოგიერთები: მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ? ნუ თუ ჩვენი გარდაცვალებული ხმა ამოულებლად წავილოთ სასაფლაოზედ და ჩუმად, ცხოველებივით დავმარხოთ? ამას არავინ არ ურჩევს ხალხს. არავინ არ უშლის ჭირისუფალს თავისი გარდაცვალებული იტიროს. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ რაც კარგი რამ არის და რასაც ეპკლესია ასწავებს, იმას სტოვებენ, იმას არ ასრულებენ და რაღაც სულელურ ჩვეულებას, სასაკინო საქციელს ჩადიან, სხვა-და-სხვა ამაოდ მორწმუნეობას და მავნებელ ჩვეულებას გასდევნ... კაცის ცხოვრებაში სამი შესანიშნავი დრო არის: დაბადება-მონათვლა, ქორწინება და გარდაცვალება. აბა, დააკვირდით კარგად, როგორი დიდებულები; და ჩინებული წესით სრულდება ყველა ეს შესანიშნავი საიდუმლოები. განა შეუძლია კაც მიუმატოს რაშე კიდევ, რომ უძეტეს დიდებით აღსრულდეს ეს საიდუმლოები? ქორწინების საიდუმლოთავიდამ ბოლომდის ისე მშვენიერად და დიდებულად სრულდება, რომ კაცს მეტი აღარატრის მოგონება არ შეუძლია. მაგრამ დააკვირდით კარგად ყველა იმ უწესობას, რომელსაც დღეს ჩადიან ზოგიერთ ეკკლესიებში ამ საიდუმლოების შესრულების დღის. აიღო ეხლა დასაფლავების წესი, პანაშვილის და წესთაგების შესრულება. რომელ მომტირალს შეუძლია იმ სანუგეშო და ღრმა ჭკლის სასწავლებელ სიტყვებზე კიდევ უკეთესი გამოთქვას

რამე, რაც ოქვენ ნიადაგ გესმისთ წესის აგების და პანაშვილის შესრულების დროს კურაცევინიდგან? ვის არ მოგვრის ტირილს ის სიტყვები, რომელსაც მღვდელი კითხულობს წესის აგების დროს? მღვდელის წაკითხული სიტყვებით თვით გარდაცვალებული ითხოვს მონათესავე და მეგობართაგან, რომ იტირონ იგი და გამოეთხოვონ მას; თვით გარდაცვალებული ევედრება მათ, რომ გამოეთხოვონ მას გოდებით და ითხოვონ ლვთისაგან, რათა უფალმა მიუტეოს მას ყოველივე შეცოდება. სხვაგან ქრისტიანები, რომელთაც შეუვნიათ ნამდვილი ქრისტიანობა, ასე ქრისტიანულად იქცევიან. გარდაცვალებულის პატივისცემად მიჩნიათ გარდაცვალებულის წირვის, პანაშვილის და წესის აგების შესრულებაზე დასწრება და ამ წესთა მოსმენა და შევედრება ლვთისადმი, რათა უფალმა მიუტევოს ცოდვები განსცენებულს. აი, სწორედ ამაში მდგომარეობს ნამდვილი პატივისცემა გარდაცვალებულისა და არა იმაში, რომ მოზარეებით მოხვილე და კუბოთან დაიწყო: «რა გიქნია, კაცო, ეგ? როგორ გაჲჭიმულხარ? ეს რა სასახლე აგიგია? რატომ არ მომეგებები ჩვეულებრივად? შეარცვინოს ღმერთმა მაგისთანა შილება? მე შენ ხმას აღარ გაგცემ! მშეიდობით! რა უთხრა შენ ცოლ-შვილს?» შემდეგ მიდის ქირისუფალთან და იძახის: „ვაი, ვაი და ვაი! ასე შემოგითვილათ, ნუგეშინიათო. ყველას პატივი ეცითო“ და ბოლოს გარედ გამოდის, კარგა ლაზათიანად გამობრუშდება ლვინით და მიდის შინ. მისთვის არც წესის აგება, არც პანაშვილი და არც წირვის მოსმენა არ სუჯევს. მაგრამ საუბედუროდ, არა თუ მომტირალი, შორებელი ნათესავი და ნაცნობი, შინ მყოფიც არ დაექცეს წესის აგებაზე დასწრებას. როცა ეს ფარისევლური ტირილი დასრულდება, მერე მღვდელს ეტყვიან: „აბა, შედით, მამაო, თქვენი წესი აასრულეთ“. წესის აგების დროს ქირისუფლები პურს სჭამენ და შემდეგ გაიძახიან: „ეხლა დროა, გავასვენოთ გარდაცვალებულიო“.

შემდეგ ყველა ამ უგუნურ ჩვეულებათა ასრულებისა შეიქნება მსჯელობა, თუ როგორ ემსახურა ქირისუფალი გარდაცვალებულს და რა პატივისცემით დამარხა იგი. თუ კარგი საჭმელ-სასმელი ჰქონდა ქირისუფალს დამარხევის დღეს, თუ ყველამ კარგა ბლომად ჭამა და სვა, იტყვიან: „სწორედ დიდის პატივისცემით დამარხეს გარდაცვალებულიო“. თუ

მცირე საჭმელ-სასმელი იყო, მოჰყვებიან ჰირისუფალთა ლანძლვა-გინებას...
ერთხუთა გამოცემა
ხშირად მოხდება ხარჯი ამისთანა გამოტირილზე ასილამ ათას მანეთამდე, მაგრამ მღვდლის მისაცემ ერთ თუმანზე და კი საჩივარი ასტყდება. ამისთანა ხარჯის დროს ჭირისუფალი სანთელ-საკმევლებზე დასწრებით ერთ გროვს არ ხარჯავს!.. დისლ, სწორედ სამწუხარო მოვლენას ვხედავთ ნიადაგ. მართალია, ბევრმა შეიგნო ქრისტიანული წესი და ქალაქებში, როგორც არის, მიეჩიენ, თუმცა დღესაც ზოგიერთ განათლებულ პირებსაც ვერ მოუშლია ზოგიერთი სულელური ჩვეულება, მაგალითებრ, ცხენებისათვის შავის ჩაცმა და ამისთანები, მაგრამ სოფელში თითქმის ყველგან მიუტოვებიათ ქრისტიანული წესები და მათ მაგიერ ასრულებენ ამაოდ მორწმუნებას და მღვდლებიც გულგრილად უყურებენ ხალხს ამისთანა ცუდ და მავნე მოქმედებას.

უკანასკნელ დრომდე ჩვენში ძლიერ ღიღხანამდე იცოდენ ბავშების მოუნათლავად დატოვება. 1890 წელში საქართველო-იმერეთის სინოდალნის კანტორამ მოახდინა განკარგულება და სამღვდლოებას დაავალა, რომ მოუნათლავად ღიღხანს არ დაეტოვებიათ ბავშვები. მართალია, ყველაზე არ უმოქმედნია ამ განკარგულებას, მაგრამ მეტი ნაწილი ხალხისა მიეჩია თავის დროზე ბავშების მონათვლას. არა გვჯერა, რომ არ შემთხვევაშიაც არ დაეხმაროს სამღვდლოებას მოგიერთი ზომები და არ მოაშლევინოს ხალხს ეს ცუდი და დამღუპველი ჩვეულებანი, თუ მოინდომებენ, სამღვდლოებას სრული უფლება აქვს გაშორდეს თავის სამრევლოს, როდესაც იგი ქრისტიანულ წესს სტოვებს და უბრალო ამაოდ მორწმუნებას ასრულებს. სამღვდლოებას სრული უფლება აქვს შესამე დღის შემდეგ გარდაცვალებულის გვამს თავზე აღარ დაადგეს, თუ მიცვალებულის გვამი იხრწნება და ნაშეტანი სიმყრალე ჰაერს აფუჭებს. მას შეუძლია არ დაესწროს გამოტირილზე, როცა გარდაცვალებულის ოთახში სიმყრალისა გამო დღომა აღარ შეიძლება. მას შეუძლია გამოუცხადოს ქირისუფალს, რომ გარდაცვალებულს გაუკეთოს ისეთი კუბო, რომლიდამც სიმყრალე არ გამოდიოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში დამარხევის შემდეგ აუსრულოს წესის

ავება იმ რიგათ, როგორი რიგითაც ხოლერით გარდაცვალებულზედ ასრულებენ.

დროა, რომ სამღვდელოებამ ხმა აღიმაღლოს და მოითხოვოს ქრისტიანეთაგან, ვიდრემდის იგინი ქრისტიანენი არიან, ქრისტიანული წესების აღსრულება, რადგან ქრისტიანული წესები უფრო საადვილო და სასარგებლონი არიან ყველასათვის. დრო არის ამ გარემოებას სასულიერო მთავრობამაც მიაქციოს ყურადღება და მღვდლებს დაეხმაროს ხალხის ყველა ცუდ, უგნურ, სამარცხინო და მავნებელ ჩვეულებათა მოსპობის საქმეში. სასულიერო მთავრობას შეუძლია მოაშოროს მღვდლი მასს, რომელიც ჩვენი მართლ-მაღიდებელი ეკკლესის ქრისტიანულ დარიგებას და სწავლას არ დამორჩილება».

აი რას ვსწერდით ჩვენ ცხრა წლის წინად „მწყემს“-ში *). ჩვენი ბეჭვდითი სატყვა კანონიერად ჩაითვალა, მაგრამ მოსალოდნელი განკარგულება კი არავითარი არ გამოცხადებულა. მართალია, განზრახვა იყო განკარგულების მოხდენისა, მაგრამ განზრახვა განზრახვათ დარჩა და საქმით კი არა გაკეთებულა რა ამ საქმის შესახებ.

ნათქვამია, ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიან და მართლადაც ყოველ რჯულზე უმტკიცესად ასრულებდენ და ასრულებენ სოფლებში ამ სამარცხინო ჩვეულებას. არ შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ბეჭვდითი სიტყვას ცოტა რამ გავლენა არ მოეხდინოს აქა იქ იმერეთში. ბევრგან აღმოჩნდენ მსურველნი ქრისტიანული წესით თავიანთ გარდაცვალებულთა დამარხვისა და ისიც ისეთ მიყრუებულ სოფლებში, რომ კაცი ვერ წარმოიდგენდა ამას. არ შეუშინდნენ ზოგიერთი ჭირისუფლები. ხალხის გაკიცხვას და საყვედლურს ჩვეულების მოშლისათვის. მაგრამ საზოგადოდ ამ მავნე ჩვეულების მოსპობისათვის დიდი დრო იქნებოდა საჭირო და ეს დრო დაგებოდა მაშინ, როცა ჩვენი ხალხი უკიდურეს სიღარიბემდის მივიღოდა და საშუალება მოესპობოდა ამ «ცერემონიაბის» ასასრულებლად. მაგრამ სასიხარულოდ ჩვენ და მრავალ შეგნებულ პირთა მოლოდინი და წადილი აღსრულდა. მათმა მეუფებამ იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა, იმერეთის

ეპარქიაში შემოსვლისათანავე მიაქცია ყურადღება ამ ცუდს და სამარცხვინოს, ეკონომიკურად ჭირისუფალთა დამიღარიბებელს და გარდაცვალებულთა შეურაცხმყოფელს ჩვეულებას, თვალთ-მაქცურად გარდაცვალებულთა გამოტირილს. მათი მეუფება მიიქცა ცირკულიარული მიწერილობით იმერეთის გარების სამღვდელოებისადმი, რომელი ცირკულიარული მიწერილობაც მოთავსებული იყო უურნალს „მწყემსის』 მე-3 №-ში. ამ ცირკულიარულ მიწერილობა-ში შესანიშავია ყველაზედ უმეტესად ის, რომ მათი მეუფება ვალად უდეგნა თვით სამღვდელოებას, რომ პირველად მან უჩვენოს მაგალითი თავის სამწყსოთა. დიახ, სწორედ უნდა გამოვტყოდეთ და უნდა აღიაროთ, რომ ეს თვალთ-მაქცური ტირილი მიტომ გაძლიერდა და დამკვიდრდა ჩვენში, რომ სამღვდელოებამ ვერ უჩვენა მაგალითი და ხან-დის-ხან ზოგიერთებში კიდეც გადააჭარბა თავის სამწყსოს ამ ჩვეულების აღსრულებაში...

ჩვენი ხალხი მეტად ახირებული თვისებისა არის წაბაძვაში. რამდენი ჩვეულება აქვს მას მიღებული წაბაძვით! მზად არის მიატოვოს და დაივიწყოს ყველა ის, რაც მისი ღირსებისათვის უსაჭიროები და ძვირფასია; მზად არის დაივიწყოს ყოველი ძველი დარბაისლური ჩვეულება და გასცვალოს ახალ მოღურ უცხოთა ჩვეულებაზე!.. დავიჯეროთ, სამღვდელოებას რომ მაგალითი ეჩვენებინა თავიანთი სამწყსოსათვის, იგინი არ წაბაძვდნენ? რასაჭირველია წაბაძვდენ, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ზოგიერთ აღგილას, როგორც ვსთქვით, სამღვდელოება კიდეც გადააჭარბებდა ხოლმე გამოტირილის აღსრულებაში თავიანთ სამწყსოს... ამისათვის მეტად მოსაწონია მათი მეუფების ცირკულიარული ის, რომ სამღვდელოებას ვალად ედგინება პირველად მათ უჩვენონ მაგალითი და მათ აღსრულონ თავიანთ ნათესავთა და ნაცნობ გარდაცვალებულთა ზედა მართლ-მაღიდებელი ეკკლესის ტიბიკონისა-მებრ დამარხება.

ანდაზაუ არის ნათქვამი: „კაი მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“. სამწუხაროო, ბევრი კარგი კანონები და ცირკულიარები გამოცხადებულა, მაგრამ ჯეროვანად ვერ შევნებულა და არ აღსრულებულა საზოგადოებისაგან. ხშირად მოხდება, რომ კანონები დატეულა ერთ ფურცელ ქალალდზე, მაგრამ

*) იხ. „მწყემსი“ № 15—16 1892 წ.

მათი განმარტება და აღხსნა ორ ფურცელ ქაღალდებული არ მოთავსებულა. ხშირად მომხდარი, რომ ერთი და იგივე ცირკულიარული განკარგულება სულ სხვა-და-სხვა ნაირად ასრულებულა ხოლმე ბლალოჩინებისაგან ერთსა და იმავე ეპარქიაში. ამას წინეთ განსვენებული ეპისკოპოსის ბესარიონის დროს გამოიცა მიწერილობა სადეპუტატო ოლქების დაარსებისათვის თანახმად უწმიდესი სინოდის განჩინებათა. ეს მიენდო თითო მაზრაში თითო საპატიო პირთ და ნაცვლად იმისა, რომ ამ საპატიო პირს ბლალოჩინები დაებარებია და სადეპუტატო ოლქების სია შეედგინა ერთმა პირმა, რომელსაც ეს საქმე ჰქონდა მინდობილი, მთელი ერთი მაზრის სამღვდელოება დაიბარა ერთ დაუმხარ სოფელში და აარჩევინა დეპუტატები!.. თუ ამისთანა შეცდომა მოხდება შეგნებული პირისაგან, შეუგნებელს რაღას მოსთხოვს კაცი! როგორც ისმის,. მათი მეუფების ცირკულიარიც სულ სხვა ნაირად გაუგიათ და, განუმარტებიათ საზოგადოებისათვის. ცირკულიარში სწერია: გარდაცვალებულთა დამარხვის ტიბიკონში არის ნათქვაში „მესამე დღეს მივალთ, ავასვენებთ და წავასვენებთ გარდაცვალებულის გვამს ეპკლესიაში“. ცირკულიარი ვალად უდგენს სამღვდელოებას მესამე დღეს გაასვენონ, უწირონ და წესი აუგონ გარდაცვალებულსა, როგორც იწერება მეტრიკაში, მაგრამ რომ რაიმე მიზეზისა გააო დამარხვა არ მოხდეს გარდაცვალებულისა მესამე დღეს, ნუ მიეკარებით და ნუღარ დამარხავთო ეს არავის არ უთქვამს. ცირკულიარის მოწერილობით მღვდელს აკრძალული აქვს, როდესაც თვალთ-მაქცურად ტირიან არა ჭირისუფალნი და გარეშე პირები ზარით მოუქლვიან მომტირალს, მღვდელი შემოსილი და საცეცხლურის კმევით არ მიეგებოს მათ, რადგან ეს წინააღმდეგი და დამამდაბლებელია მღვდლის ხარისხისა, მაგრამ ამით პანაშვიდების აღსრულება და მგალობელთაგან გალობის თქმა სრულებით არავის აუკრძალავს. მღვდელს აკრძალული აქვს, რომ მონაწილეობას ნუ მიიღებს ასეთ ჩეცულების აღსრულებაში. რომელიც ეპკლესიური წესის და ტიბიკონის წინააღმდეგია და გარდაცვალებულთა შეურაცხმოფელია, მაგრამ ის კი არავის გამოუცხადებია, რომ გარდაცვალებულის ოჯახში სრულებით ნუ მიხვალ და გარდაცვალებული თუ მისვენონ ეპკლესიაზე, თორემ შენ ნუ გამოუძღვები წინა!..

სრული იმედია, რომ ჩვენი სოფლის შეგნებული სამღვდელოება ჯეროვანად განუმარტებს თავიანთ სამწყსოთა ცირკულიარული მიწერილობის შინაარსს, განუმარტებსთ მათ, რომ მეტრიკაში არასოდეს არ იწერება გარდაცვალებული დაუმარხავად მესამე დღის ზევით, რომ ამას ითხოვს კანონი და ეკკლესიის ტიბიკონიც; განუმარტავს ჭირისუფალთა, რომ გარდაცვალებულთა სული, სწავლისამებრ მართლ-მაღიდებელი ეპკლესიისა იტან-ჯება და სწუხს, როდესაც მიწას არ მიებარება მათი სხეული—მესამე დღეს, ხუთი და ათი დღე წეს აუგებელი და უწირავი რჩება ზეზე სახლში და მაზედ სრულდება ის, რაც მისი სულის შესაწუხებელია. სრული იმედია ცირკულიარული მიწერილობა მცირეს დროში დაარსებს ჩვენში იმ ჩეცულებას, რაც სუფევს ყველა განათლებულ ქრისტიანე ხალხთა შორის, ააცილებს ჩვენს საზოგადოებას უსარგებლოდ და დამღუპველ ხარჯზე და ნაცვლად ამაო და მავნებელ ჩეცულებათა დაარსებს ქრისტიანულ და ნამღვილ მანუგეშებელ წესთა და ჩეცულება გარდაცვალებულთა დამარხვის დროს.

ღ. დამიაშიძე



პილატეს სიკვდილი.

(ლეგენდარული მოთხოვბა)

რომის იმპერატორი ტიბირიოს კეისარი ავადგახდა. კეისარმა შეიტყო, რომ იერუსალიმში სუბოვრობს ვინმე მკურნალი, რომელიც ავადმყოფებს არჩენს ერთის სიტყვით. კეისარმა არ უწყოდა, რომ პილატემ და ებრაელებმა მოკლეს ეს მკურნალი, და უბრძანა ერთ-ერთ თავისს კარის კაცს ველუზიანს: „გასწი, რაც შეიძლება ჩქარა, ზღვის გალმა მხარეს და უთხარ ჩემს მოსამსახურეს და მეგობარს პილატეს, გამომიგზავნოს ის მკურნალიო“. ველუზიანი მაშინვე გაემგზავრა პილატესთან და უთხრა: „ტიბირიოს კეისარი, რომის იმპერატორი და ჩემი ბატონი ავად არის და გოთხოვს

დაუყონებლივ გაუგზავნო ის შესანიშნავი მკურნალი, რომელიც ერთის სიტყვით არჩენს ავალ-მყოფებსო". პილატეს საშინლად შეეშინდა, რაღანაც მან თვითონ მოაკლევინა იქსო, და იმპერატორის გამოგზავნილს უპასუხა: „ის კაცი ბოროტ-მომქვედი იყო, მთელი ხალხი გადაიბირა და მეც ბრძნეთა რჩევით ბრძანება გავეც, რომ ჯვარს ეცვათ იგი". ველუზიანი უკანვე დაბრუნდა. გზა-ზედ ერთი დედაკაცი შემოხვდა, სახელად ვერონიკა, რომელიც იცნობდა იქსოს და უთხრა: „ჰო, დედაკაცო! რისთვის მოკლეს ებრაელებმა ის მკურნალი, რომელიც ავადმყოფებს ერთის სიტყვით არჩენდაო?" დედაკაცმა ტირილით მოახსენა: „ვაგლახ მე, ბატონო! პილატემ მოაკლევენა ის ჩემი მასწავლებელი და ღმერთი; იგი სძულდათ ებრაელებს". ველუზიანი ძალიან შესწუხდა: „მე დიდად შეწუხებული ვარ,—სთქვა იმან,—რადგანაც არ შემიძლიან ჩემის ბატონის ბრძანება აღვა-სრულოო". ვერონიკამ მიუგო: „ჩემი ბატონი ერთის აღგილიდგან მეორეში გადადიოდა და ყველგან ქადაგებდა, ხოლო მე ვწუხდი, რომ ყო-ველთვის ვერ ვხედავდი მას, მინდოდა მისი სუ-რათი გადმოელოთ ჩემთვის და მითი მენუგეშებინა. ამ განზრახვით ტილო წავუდე მხატვარს იქსოს სახის დასახატად; გზაზედ შემომხვდა ბატონი ჩემი და მითხრა: „სად მიდიხართო?" მე უთხარი სადაც მივდიოდი და რისთვის; მან გამომართვა ტილო და მაშინვე დამიბრუნა; ტილოზედ დახატული იყო მისი სახე. თუ ამ სურათს შენი ბატონი სა-სოებით დახედავს, მაშინვე განიკურნება". ველუ-ზიანმა ჰკითხა: „არ შეიძლება ეს სურათი გაყიდო ვერცხლითა, ანუ ოქროთი?" დედაკაცმა მიუგო: «არა; მაგრამ მე თვითონ წამოვალ შენთან და მიუტან კეისარს სურათსო!"

ველუზიანი რომში დაბრუნდა ვერონიკეთურთ და მოახსენა ტიბერიოს იმპერატორს: „კაი ხანია, რაც პილატემ და ებრაელებმა ჯვარს აცვეს იქსო, მაგრამ ჩემთან მოვიდა ერთი დედაკაცი, რომელ-საც თან აქვს იქსოს სურათი და თუ სასოებით დაჭედავთ ამ სურათს, წამსვე განიკურნებითო". კეისარმა დააგებინა გზაზედ აბრეშუმის ქსოვილები და მოატანინა სურათი და, დაპერდა თუ არა, მა-შინვე განიკურნა.

პონტოელი პილატე იმპერატორის ბრძანებით შეიპყრეს და რომში მოიყვანეს. განრისხებულმა კეისარმა პილატე თავისთან მიიყვანა. პილატემ თან მიიტანა იქსოს ტანისამოსი უსარტყლოდ, ჩაიცვა ეს ტანისამოსი და ისე წარუდგა კეისარს. როცა იმპერატორმა დაინახა იგი, მაშინვე დას-ცხრა: ადგა, მივიღა პილატესთან და მშვიდობია-ნად შეპხედა, თუმცა მის მოსვლამდის ფრიად გან-რისხებული იყო. მაგრამ რაწამს პილატე გავიღა, იმპერატორი კვლავ განრისხდა და იძახოდა, რა უბედური ვარ, რომ ჩემი გულის რისხევა არ ვაჩ-ვენ პილატესო. ბრძანა პილატეს კვალად მოყვა-ნა: პილატე სიკვდილის შვილია, იგი ღირსი არ არის დედამიწაზედ სიარულისაო, იძახდა კეისარი. მაგრამ რაწამს დაინახა პილატე, თავი დაუკრა მძიმედ და გული ისევ დაუწყნარდა. იქ მყოფნი ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ, იმპერატორს თვითონაც უკვირდა ეს, როცა პილატე გავიდოდა, სჯავრობდა, პირში-კი ვერაფრის თქმას ვერ უბე-დავდა. შემდეგ სხვათა ჩემთვით ბრძანა ტანისამოსი გაეხადათ პილატესათვის და, გახადეს თუ არა, მაშინვე იგრძნო თავისი რისხევა პილატესადმი. გაკვირვებული იმპერატორი ვერ მიხვდა, რაში იყო საქმე, და სხვებმა უთხრეს, რომ ის ტანისამოსი, რომელიც პილატეს ეცვა, იქსო მეუფისა იყო. იმპერატორმა ბრძანა საპყრობილეში ჩაეგდოთ პი-ლატე, ვიდრე ბრძენთა რჩევა არ გადასწყვეტდა, რა უნდა ექნათ მისთვის. ბრძანებაც გამოიცა, რომლითაც პილატეს გარდაწყვეტილი ჰქონდა ნაძრას სიკვდილით დასჯა. პილატემ შეიტყო ესა და თვითვე მოიკლა თავი დანით.

კეისარმა მოისმინა პილატეს სიკვდილის ამ-ბავი და სთქვა: „მართლაც იგი საძრას სიკვდილით მოკვდა, რადგანაც მისმავე საკუთარმა ხელმა ვერ შეიბრალაო". პილატეს გვამი მიაბეს წისქვილის დიდ ქვასა და მდინარე ტიბრში გადააგდეს. მაგრამ ბოროტი სულები, რომელნიც ამ სხეულში დაბი-ნავდნენ, საშინელს ქარსა და ნიავ-ღვარს აყენებ-

დნენ, ასე რომ ხალხი შიშის ზარმა მოიცვა. ამი-
სათვის რომაელებმა პილატეს გვამი ტიბრიდგან
ამოიღეს, ვიენაში წაიღეს და რონაში ჩააგდეს,
ვიენა ნიშნავდა გენიას გზას, რადგანაც დასჯილი
აქ მოჰყავდათ. ბოროტნი სულნი აქაც უარესს
საქმესა უშვრებოდნენ მცხოვრებთ ამიტომ ისევ
ამოიღეს ეს გვამი და ლოზანას მიწაში დაფლეს.
ბოლოს, რადგანაც ეშმაკები არ დაწყნარდნენ,
მცხოვრებთ ისევ ამოიღეს პილატეს გვამი და უფ-
სკრულში ჩააგდეს, სადაც ეშმაკები დღესაც შვო-
თავენ.

„ივერია“

ბიბლიოგრაფია.

- 1) А. А. Цагарели. Грамоты и другие документы, относящиеся до Грузии. Т. II. Вып. 1. Грузинские тексты съ 1768 по 1801 г. СПб. 1898. (Издание Выночайше утвержденной Комиссии печатания Государственныхъ Грамотъ и Договоровъ, состоящей при Московскомъ Главн. Архивѣ Министерства Иностранныхъ дѣлъ). XVI—209.
- 2) А. С. Хахановъ. Очерки по истории грузинской словесности. Вып. 3. Литература XIII—XVIII вв. Москва. 1901 г. IV—435. ц. 3 руб.

ახალგა საუკუნეებ თრი ფრიად საგულისხმო
განძი შესძინა ჩვენს ისტორიულ მეცნიერებას და
ლოტერატურას. ჩვენმა სახელოვანმა მამული შვი-
ლებმა, პროფესორთა — ა. ცაგარელმა და ა. ხახა-
ნაშვილმა მეცნიერებას უძღვნეს: პირველმა თავისი
რედაქტორობით გამოცემული „ღრამატები და
სხვა ისტორიული ლოკუმენტები საქართველოს
შესახებ“ (ქართულს ენაზე), ხოლო მეორემ სპე-
ციალური გამოკვლევა შესახებ ქართული მურ-
ლობისა მე-XIII—XVIII საუკუნეებში*).

*) მართალია პირველ შრომას თარიღით 1898 წელი
უზის, მაგრამ საზოგადოება მი გასავალულებლათ ის მართალ
ჭარხული წლის ბოლოს გამოვიდა.

ჩვენ არ გამოვუდგებით ამ შრომათა აწონ-
გაზომვას და დაწვრილებითი ღირსებათა დასახე-
ლებას. ჩვენი მიზანია სამღვდელოებას მივაწოდოთ
რამდენიმე საინტერესო ცნობანი, რომელთაც ეს
შრომები იძლევიან შესახებ ჩვენი ისტორიული
სვეტებისა მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.

როგორც მოგვეხსენებათ, 1783 წელს ქართლ-
კახეთის მეფემ, ერეკლე II-მ, პირველად დაიკავა
ხელშეკრულობა იმპერატრიცა ეკატერინე II-სთან.
მაგრამ მიწერ-მოწერა ამავე საგნის შესახებ 1783
წელზე ბევრით უფრო აღრე დაიწყო; იგი არ
შეწყვეტილა არც ირაკლის მერე. მივაწევთ
„მწყვმისი“-ს მკითხველთა ყურადღებას შემდეგს ორ
საგნის: ტახტის მემკვიდრეობას და კათალიკოზობას,
როგორც ეს აღნიშნულ მიწერ-მოწერაშია გამო-
ხატული.

1771 წელს, 30 დეკემბერს, მეფე ერეკლე
მე-III-ე ეკატერინე III-ეს მოხსენებას უგზავნის¹⁾.
აქ დაწვრილებით აღნიშნულია ყველა ის პირო-
ბები, რომელებითაც მეფეს სურდა რუსეთის შევარ-
ველობის ქვეშ შესულიყო. აი, რას ვკითხულობთ
ამ მოხსენებაში ტახტის მემკვიდრისა და კათალი-
კოზის შესახებ:

„კვალად, ვითარცა ძველად ყოფილა ჩვენის
ჩამომავლობის მეფობა, ვითხოვთ ო. დ. მოწყა-
ლებისა გამო ეგრეთვე საუკუნოდ უცვალებელად
ეგოს მორჩილებასა ქვეშ დიდებულებისა თქვენი-
სა იმ მსახურებითა, რომელიც ქვემორე აღიწე-
რება.

„მსგასაღვე კათალიკოზისა წესსავე თვისსა
ეგოს მოუშლელად“.

თრი წლის შემდეგ, სახელდობრ 1773 წელს,
27 აპრილს, ამასვე იმეორებენ თავის მოხსენებაში
გრაფის ნ. ი. პანინისაღმა ბატონიშვილი ლევანი
და კათალიკოზი ანტონი I.

მისის იმპერატორობის დიდებულებისაგანა, ვკით-
ხულობთ ამ მოხსენებაში, — ყოვლად უქვეშეკრულ-
მილებად ითხოვს მეფე ჩვენი: „რათა ეგოს მეფობად
ქართლისა და კახეთისა უცვალებელად, ვითარცა

¹⁾ ი. ხ. გრამოს და სხვ. სტატუსი 83—84. წერილი 1898 წელი და მიმდევ გამოვიდა.

პირველ ყოფელა და აწ არს, მაგრა მორჩილებასა ქვეშე და მსახურებასა მისის იმპერატორობის დ. ოუსეთის მონარხისასა — ესევითარისა მსახურებითა, რომელიცა ქვემო აღიწერება.

«ეგრეთ კათალიკოზიცა ეგოს განწესებასავე შინა თვისსა უცვალებელია»²⁾.

გავიდა სრული ათი წელი. მიწერ-მოწერამ თავისი ნაყოფი მოიტანა, და 1783 წელს, 24 ივნისს, როგორც უკვე მოვიხსენეთ, პირველად დაიწერა ხელშეკრულობა რუსეთსა და ქართლ-კახეთ შორის. ეს ხელშეკრულობა შესდგება სულ 13 მუხლისა (არტიკულისა) და 4 „სეპარატის არტიკულისაგან“³⁾.

მოვიტანთ ზოგიერ ადგილებს მე-3, მე-6 და მე-8 მუხლებიდან:

„არტიკული შესამე. განცხადებასა შინა ამის უზაკველობისასა ვითარითა ხატითა უგ — ბა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა აღიარებს უზენაესსა ხელშიწიფებასა და მთავრებლისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა განიწესების: ვითარმედ ხსნებულნი იგი მეფენი ოდეს იგი მიიწევიან მუკავიდრეობით მეფობასა ზედა მათსა მსწრაფლ აუზყვებენ ამისთვის კარსა საიმპ — როსა რუსეთისასა და თხოვენ დესპანთა თვისთა მიერ სამეფოსა ზედა თვისსა იმპ — ებისასა დამტკიცებასა ინვესტიტურისა წერილითა...“.

„არტიკული შეეჭის. „...უგ — სსა მეფესა ირაკლის თეიმურაზოვიჩისა და სახლისა მისისა შემცვიდრეთა და მენაცვალეთა და ტომთა დაიცვას უცვალებელად სამეფოთა ზედა ქართლისა და კახეთისათა...“.

„არტიკული შერჩე. დასამტკიცებელად უსაკუთრესისა მონარქიულის კეთილ-ნებობისა მისის უგ — სა მეფისადმი და ერთა მიმართ მისთა, და უმეტესისა შეერთებისა რუსეთისათანა ამათ ერთ-მორწმუნეთა ერთა თანა, ინებებს მისი იგი დიდებულებად, ვითარმედ კათალიკოზსა, ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოზსა მათსა, რათა აქვნდეს ადგილი რიცხვთა შორის მღვდელ-მთავართასა მერვესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად ტო-

ბოლსკისა, და ყოვლად უმოწყალესობით მიუბოძებს მას ნიადაგ ტიტლოსა უწმიდესისა სინოდის ჩლენიბისასა, ხოლო მართებისითვის საქართველოსა ეკკლესიათასა და მიწერ-მოწერათასა, თუ ვითარი სათანადო არს რუსეთისა სინოდისადმი, — ამისთვის უკვე დაიწერების სხვაი არტიკული».

ამ რიგათ: ტახტის მემკვიდრეობა უცველელი რჩება, კათალიკოზსაც ხელ-უხლებლად სტოკებენ, მხოლოდ მას აძლევენ უწმ. სინოდის მწერლისა და შერვე ადგილს რუსეთის იერარქებში; ამასთანავე აღთქმას იძლევიან: საეკკლესიო საქმეების მართვა-გამგეობის შესახებ ცალებ მუხლი დაიწერებათ.

მეორე წელს (1784, 15 სექტემბერს) ესევე ხელშეკრულობა იქნა მიღებული იმერეთის უფლისწულის დავითისა, კათოლიკოზის მაქსიმესა, მიტაროპოლიტ-ეპისკოპოსთა, ერისთავ დიდებულთა და თავად-აზნაურთაგანაც⁴⁾.

თუ რა შედეგიც მოჰყვა ამ ხელშეკრულობას აღმისავლეთ-საქართველოსათვის, ყველამ კარგად ვიცით: ერეკლეს საქციელით გამოჯავრებული, სპარსეთის შახი, აღამაპმადხანი, რომელიც ქართლ-კახეთს სპარსეთის სავასსალოთ სთვლიდა, შემოესია ირაკლის სამფლობელოს და აიღო თბილისი (1795 წ. კრწანისის ბრძოლა).

გავიდა ხანი. მეფე ერეკლე გარდაიცვალა († 1798 წ.). მისმა მემკვიდრემ მეფე გიორგი XII-მ კვლავ გამართა მიწერ-მოწერა რუსეთის იმპერატორებთა. მაგრამ ახლა იგი უპრალო მთავრებლისა აღარ ჯერდება. მისი სურვილია „რათა ამიერიდგან დაიდეს სამეფო ქართლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისად წესითა მით ვითარება სხვანი იგი რუსეთსა შინა პყობილნი პროვინციანი სარგებლობენ“, ესე იგი „სრულსა ნებასა და მზრუნველობასა შათსა“, მხოლოდ იმ პირობით კიო, — ამბობს გვირგვინოსანი მეფე, — რომ, როცა იმპერატორი „საქართველოს სამეფოს სრულსა ძალისა და ნებასა შინა თვისსა მიიღებს“, დანამხნოს პუნკტსა ამას (შინა) თხოვილი ჩემი ყოვლად უმოწყალესითა აღთქმითა წერილითა, ვითარმედ საქართველოს შინა ჩემსა არა აღაუნდს მეფენი, გარნა თდენ ამეფოს

²⁾ იქვე. გვ. 90—92: № 70. დ. IX. 27 აპრელ 1773 გ.

³⁾ იქვე. გვ. 99—110.

⁴⁾ იქვე. გვ. 181—183: Представленіе отъ Императорскаго царя (?) Давида, духовенства и вельможъ имп. Екатеринѣ П. 15 сент. 1784 г.

შექვეიდრითა-მეტყვიდრედ ვითარცა წინაპერნი ჩემნა»⁵⁾.

თანახმად ამ სურვილისა, 1800 წელს, 19 ნოემბერს, მ. ი. უ. იმპ. პავლემ „ყოვლიდ უმოწყალესად კეთილ-ინგბა“ ქართველი ელჩების ნოტას მოწონება (Всемилостивейши апробовать соизволия). ეს ნოტა შემდეგ გიორგი მეფესაც უნდა მოწონებია და ნებადაერთო. მაგრამ, როგორც ვუწყით, სიკვდილმა აღარ დაცალა: პეტერბურგიდან გამოგზავნილმა კაცებმა მას ცოცხალს ვეღარ მოუსწრეს. ამ ნოტაში ტახტის მემკვიდრეზე თითქმის იგივე აზრია გამოთქმული, რაც წინა საბუთებში იყო, კათალიკოზე კი არაფერია ნათქვამი. ჩვენმა მეფემაო, — ამბობენ ამ ნოტის შემდგენელნი (გარსევ. ჭავჭავაძე, გიორგი ავალოვი და ელიზბარ ფალავანდოვი), — მოგვანდო „უქვე-შევრდომილესად ვითხოვოთ, რათა შემდგომ სამეფოს ჩაბარებისა იგი და მას შემდეგ მისნი მემკვიდრენი დატოვებულ იქმნან ტახტზედა მეფის ტიტულითათ“⁶⁾. სამღვდელოების შესახებ ამ ნოტაში მხოლოდ ზოგადი აზრია გამოთქმული: „ქართლ-კახეთის მეფის ყველა ქვეშევრდომნი თავად-აზნაურნი, სამღვდელონი, ვაჭარნი და აგრეთვე სხვა ხელოსანი ხალხი იმავე უფლებით და კანონებით ევება, როგორც რუსეთის სხვა ქვეშევრდომებიათ“⁷⁾. გართალია, ამ პუნქტში, როგორც უკვე მოვიხსენეთ, კათალიკოზე კერძოთ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ისედაც ცხადია, რომ ეს გათანასწორება ქართველი სამღვდელოებისა „რუსეთის ქვეშევრდომებთან“ პირდაპირი მაჩვენებელი იყო იმისი, რომ კათალიკოზობა უნდა მოსპობილიყო, რადგან მსგავსი ხარისხი იმ დროს რუსეთში აღარ მოიპოვებოდა.

არ ვიცით, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდენ ქართველი ელჩები, როცა ასეთი პირველხარისხოვანი კითხვა თავის ნოტაში არ მოიხსენეს. ეს კია ღმერთ-წინაშე, რომ ნოტის ბოლოში იგინი პირობას სდებენ, უკეთუ ამ ჩვენ მიერ წარმოდ-

⁵⁾ იქვე. გვ. 187—188: № 175. 7 Сентября 1799 г. Полномочие, данное царемъ Георгіемъ посланникамъ своимъ, отправленнымъ имъ въ С.-Петербургъ.

⁶⁾ იხ. Акты Кавказск. Археографич. Комиссии, т. I, стр. 179—181: Нота Грузинского посольства о Грузии. (დედანი გრაფ როსტინის ხელმოწერილია), § 2.

⁷⁾ იქვე § 15.

გენილ პუნქტებში რაიმე დასამატებელი შეიქნა, ამას მაშინ აღვასრულებთ უკლებლოთ, როცა იქით (ე. ი. საქართველოსაკენ) გაგზავნილი უმაღლესი კარის ელჩი დაბრუნდება და ბრძანებას მოგვიტანს; ახლა კი, რადგან ჩვენს სამეფეს დაშორებული ვართ, ყველა წვრილმანების მოგონება არ შეგვიძლიაო ⁸⁾.

ამასობაში გარდაიცვალა იმპერატორი პავლე და ტახტზე ალექსანდრე I ავიდა. ქართლ-კახეთის ელჩებმა ამის მინისტრსაც მიართვეს ახალი და უფრო ვრცელი ნოტა (აპრილში, 1801 წ.), რომელიც სულ 20 (19?) მუხლისაგან შესდგება და შეიცავს ფრიად საყურადღებო ცნობებს ტახტის მემკვიდრისა და სამღვდელოების შესახებ.

მოგვაჭვს უმთავრესი აღგილები ⁹⁾:

„ვინაიდგან ზემოდანიშნულნი ნოტანი იგი და სხვანიცა პუნქტინი ყოველნი მისის იმპერატორბისა დიდებულებისაგან პირველივე მაღალ-მნებელობით განხილულ იქმნა, და სამეფო იგი საუკუნო უამობით მონად ყოვლისა რუსეთისა სამპერატოროსა ტახტისად მიღებულ-იქმნა, ამისთვის ამის შედგომილებისამებრ ყოვლად უმონებრივესად ვითხოვოთ მისის დიდებულებისა ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისა ჩვენისაგან, რათა დაშტკი-ცებულ ჰყოს მიღება სამეფოსა მის დღესასწაულობითთა დამტკიცებითა ფრიად მხრით სამპერატორისა აქტის შენა...“ (§ 1).

„... რომელიცა კეთილ-ნებებულ იქმნას მისის იმპერატორებითის დიდებულებისაგან და დანიშნულ მმართველად საქართველოსა სამეფოსად ერთად რომელიმე მეფის ძეთაგანი, იგი იწოდებოდეს იმპერატორისა მოადგილედ, და ისენიებოდეს მეფედ საქართველოსად, და მიეცეს მას თანაშემწედ მარადის მუნ მყოფად ერთი რომელიმე დიდის რუსეთის დიდ-შემძლებელთაგანი...“ (§ 2) *).

დროებით ჩრდილოები ს. ბ.

(დასასრული იქნება)

⁸⁾ იქვე გვ. 181 მე-16 მუხლის შემდეგ, დასასრული.

⁹⁾ იხ. Грамоты и др. ист. док. გვ. 195—209: № 181. Апрель, 1801 г. Нота, врученная министерству Грузинским послами.

*) „...და ამას მეფესა აქვნდეს მხოლოდ სახელი მეფობისა, და სხვებრ ყოველსა ჩვენ, ვითარცა სარწმუნონი მონანი, მივანდობთ უდიდებულესობისა კეთილ-ნებულობასა...“. (იქვე, გაგრძელება).

შურეალ-გაზეთებიდან.

ესე ტოლსტიის მეუღლის წერილი მიტროპოლიტ ანტონის შიმართ და მიტროპოლიტის ჰასუხი. ამ ეს წერილი:

„გუშინ გაზეთებში წავიკითხე სინოდის განკარგულება, რომელზედაც, სხვა მწყემსმთავართა შორის, თქვენი ხელიც აწერია და რომლითაც ჩემი ქმარი გრაფი ლევ ტოლსტოი განრინებულ იქმნა ეყვალესიდან, რასაც მშვიდათ სრულიად ვერ შევხდი. ჩემს მწუხარებით აღსავს განრინებას არა აქვს საზღვარი. იმიტომ კი არა, რომ ასეთი განკარგულებით სულიერათ დაიღუპოს ჩემი ქმარი: ეს ადამიანის კი არა, ღვთის საქმეა, ადამიანის სულიერი ცხოვრება სარწმუნოების მხრით ემორჩილება მხოლოდ ღვთის განგებას და ნებას. მაგრამ იმ ეკკლესიის თვალით, რომელსაც მე ვეკუთვნი და რომელსაც თავის დღეში არ გადაუდები, იმ ეკკლესიისა, რომელიც შექმნილია ქრისტეს მიერ ღვთის სახელით და სალოცავათ ადამიანის ცხოვრების უმთავრესი მომენტებისა, როგორიცაა დაბადება, ქორწინება, სიკვდილი, მწუხარება და გლოვა ადამიანთა; იმ ეკკლესიისა. რომელიც ხმა-მალა უნდა ღალადებდეს სიყვარულს, სათნოებას, სიყვარულს მტერთა, რომელიც ყველასთვის უნდა ლოცულოდეს—აი ამ ეკკლესიის თვალით სრულიად მიუწდომელია ჩემთვის სინოდის განკარგულება. ეს განკარგულება თანაგრძნობას კი არ გამოიწვევს (გარდა «მოსკოვის უწყებისა»), არამედ ზოგადს და გააღლიერებს სიყვარულს და თანაგრძნობას ლევ ნიკოლოზის ძის მიმართ. ჩვენ უკვე გვიცხადებენ ასეთ სიყვარულს და თანაგრძნობას მთელი ქვეყნის ყოველი კუთხიდან და არც ექნება მათ ბოლო. არ შემიძლია არ მოვიხსენიო ის მწუხარებაც, რომელიც მომაყენა წინათ გაგონილმა უაზრო განკარგულებამ, სახელდობრ: სინოდის მალული განკარგულება მღვდლებისადმი, რომლითაც მათ ეკრძალებოდათ ლევ ნიკოლოზის ძის ანდერძის აგება, თუ ის მოკვდებოდა. ვის სჯინ ამით? მკვდარს, ყოველ გრძნობა მოკლებულ ადამიანს, თუ მის მახლობელ პირთ? თუ ეს დასაშინებლათ ქნეს, ვის აშინებდენ ან რისთვის? ნუ თუ ჩემი ქმრის წესის ასაგებათ და მისდა ღვთისადმი შესავერებლათ ვერ ვიშოვნი

ან ისეთ რიგიან მღვდელს, რომელიც არ შეუშინდება ადამიანის ნამდვილ სიყვარულს ღვთის წინაშე, ან და ისეთ ურიგოს, რომელიც შემიძლია დიდალი ფულით მოვიყიდო? მარა ეს ჩემთვის არცა საჭირო. ჩემთვის ეკკლესია განყენებითი შემეცნებაა და მის მოსამსახურებით მე მხოლოდ ისინი მიმაჩნია, ვისაც ჭეშმარიტად ესმის ეკკლესიის მნიშვნელობა. თუ კი ეკკლესიათ ვიცანით ის ადამიანები. რომელიც თავისი შურით ბედავენ დაარღვიონ უმაღლესი კანონი—ქრისტიანული სიყვარული—ამ შემთხვევაში ჩვენ, ჭეშმარიტათ მორწმუნები და ეკკლესიაში მოსიარულენი, გავშორდებით მას. ეკკლესიისაგან გამდგარნი არიან არა გზა-დაბნეული ადამიანები, არამედ ისინი, რომელთაც ამაყათ გამოაცხადეს თავის თავი ეკკლესიის მეთაურად და სიყვარულის და სათნოების მაგიერ სულიერ ჯალათათ შეკმნენ მათთვის, რომელთაც ღმერთი უფრო ადვილათ შეიწყნარებს მათი მშვიდი, ყოველ მიწიერ ბედნიერებისაგან უარყოფილ ცხოვრებისათვის, ვიდრე მათ, ვინც ატარებს ბრილიანტებით შემკულ მიტრებს და ვარსკვლავებს, და იმავე დროს რიცხვენ ეკკლესიიდან მის მწყებს. პირფერული მოსახრებით ჩემი აზრის უარყოფა ადვილია, მაგრამ ღრმა უეგნება ჭეშმარიტებისა და ადამიანის ნამდვილი მისწრაფებისა—არავის არ შეიყვანს შეცდომაში“. გრაფ. სოფიო ტოლსტოისა. 26 ოქტომბერი. 1901 წ.

შიტროპოლიტის პასუხი:

„ის-კი არ იყო სასტიკობა, რაც სინოდმა განაცხადა, =თქვენი მეუღლე ეკკლესიას განერინაო; არა, სასტიკათ თვით ის მოექცა თავის თავს, როცა უარპყო თვისი სარწმუნოება იქსო ქრისტესადმი. აი, ამ უარ-ყოფაზე უნდა მოგსვლოდათ თქვენ ჯავრი; თქვენი მეუღლე დაბეჭდილი ქადალდის ნაგლეჯისაგან კი არ იღუპება, არა, ის იღუპება იმ მიზეზით, რომ პირი იბრუნა საუკუნო ცხოვრების წყაროსაგან. თქვენ მეუღლეზე, ვიდრე ის ცოცხალია, არ ითქმის, რომ დაღუპულიათ; თქვენ მთელი მსოფლიო თანაგრძნობას გიცხადებთ, —რაიცა არ მიკვიდის, —მაგრამ ვფიქრობ კი, რომ თქვენთვის ეს ბევრი არაფერი ნუგეშია. შარშან, როცა გაზეთებმა გაავრცელეს ამბავი თქვენი ქმრის ავადმყოფობისა, ეკკლესიის მსახურნი კითხულობდენ, უნდა ვსცნათ ის, ეკკლესიისა და სარწმუნოებისაგან განრინებული,

ლირსათ ქრისტიანული დაკრძალვისა და ლოცვისა, თუ არა; ამ საგანზე მიჰმართეს სინოდს და ამან საიდუმლო დარიგება გაუგზავნა ეკკლესიის მსახურთ და მხოლოდ ის ერთად ერთი პასუხი მისცა, როგორიც შეეფერებოდა: „არ უნდა დასაფლავდეს ქრისტიანულის წესით, თუ ეკკლესია არ შეუერთდა და ისე გარდაიცვალა“. აქ არავისათვის არავითარი მუქარა არაა და სხვანაირი პასუხის მიცემა არც შეიძლებოდა; ან რა საჭიროა ძალმომრეობით მოექცნენ თქვენ ქმარს, როცა ეჭვი არ არის, თითონ მას არა ჰსურს, რომ ქრისტიანული წესით დაკრძალულ იყოს. რაკი თქვენ, ცოცხალ ადამიანს, გსურთ ეკკლესიის წევრად იცნათ თქვენი თავი და რაღანაც ეკკლესიაც ცოცხალ გონიერ არსებათა და ღვთის სახელით შეერთებულთა კრებულია, ამიტომ თავის თავად ირლვევა თქვენი აზრი, რომ ეკკლესია თქვენთვის განყენებული მცნება და თქვენ უბრალოთ აყველრით ეკკლესიის მსახურთ ბოროტებასა და ქრისტეს მიერ ნაანდერძევ უმაღლეს სიყვარულის კანონის უარყოფას. სინოდის ოქმი არ არღვევს ამ კანონს,—პირიქით, ეს ოქმი არის სიყვარულის ოქმი, ისაა მოწოდება თქვენი ქმრისადმი ეკკლესის დაუბრუნდეს და მორწმუნეთადმი იღოცონ მასზე. ეკკლესიის მწყემსებს აწესებს უფალი ღმერთი, და არა თვით მათ აღიარეს თავისი თავი ეკკლესის მეთაურად, როგორც თქვენ ამბობთ. ისინი ბრილიანტით შემკულ მიტრებს და ვარსკვლავებს ატარებენ, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს მათ მსახურებისათვის: იგინი მწყემსებათ იყვნენ იმ დროსაც, როცა ძაძით იყვნენ შემოსილნი და დევნილნი და მწყემსებად დარჩებიან ყოველთვის, თუნდაც რომ ისევ ძაძის ჩაცმა მოუხდეთ, რაც უნდა ავად მოიხსენიონ და რაც უნდა სამარცხვინო სიტყვები უწოდონ მათ“. დასასრულ მიტროპოლიტი ამბობს: „ღმერთმა გაკურთხოთ თქვენ და იხსნას და შეიწყალოს მეუღლე თქვენი“.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობის საპრიმუნარებასა და კუთხლილ გრძელებაზე.

ხმა მაცხოვრისა კუკლესის მწყემსისადმი.

«სახე მიგეც თქვენ, რათა ვითარცა ეს მე გიყავ თქვენ, ეგრეთვე თქვენცა ყოფდეთ“. (იოან. 13,15).

გაგრძელება *)

თავი 9. თავდადება.

1. ბეთლემიდან დაწყებული გოლგოთამდე, გამოქვაბულში შობიდამ ჯვარცმამდე მთელი ჩემი ცხოვრება ითმენდა ნაკლულევანებასა და გაჭირებას.

საჭიროა, მღვდელო, რომ რამდენადაც კი ნებას გაძლევს კაცობრიული ბუნება, მთელი შენი ცხოვრება ემსგავსებოდეს ჩემსას! იყავ თავდადებული ყველაფერში.

უარ ჰყავ შენი საცხოვრებელი ბინა: „ის მოკლებული უნდა იყვეს ნაზს მორთულობას. არ არის შესაფერი, რომ მღვდლის სახლი ემსგავსებოდეს მდიდრულად მორთულს სასახლეებს,—სასახლეებს, რომელთაც ფუფუნების ელფერი დასდევს. თავდაცერილი იყავ თითქმის წიგნთ-საცავის მართვა-მოწყობაშიაც; ნუ მიბაძევ აქაც იმ ადამიანებს, რომლებიც წიგნთ-საცავსაც თავისი თავმოყვარეობის გამოსახენად იყენებენ. ნუ ამრავლებ მორთულობას უთავ-ბოლოდ, მარტო შენი ჟინის მოსაკლავად. ნუ მისდევ მღიდრულად წიგნების გამოცემას და ძვირფასი ყდით შემოსვას. ეს ბავშური უსაქმურობა სხვას დაუტოვე“.

*) ი. „მწყემსი“ № 5 1901 წ.

2. დაცულები ზენის სუფრის შესახებაც. დევი, ზენი სასმელ-საჭმელი იყვეს უბრალო და ნოყიერი, ნუ იდგმება ზენს სუფრაზე ისეთი კერძი, რომელიც ფუფუნების გამომხატველია, ნუ არის ზენი საზრდო რჩეული. ნუ ბაძავ იმ მღვდელ-მოსამსახურეთა, რომლებიც ბევრს სცდილობენ ხელოვნურად და მღიდრულად სუფრის მოწყობას, გახსოვდეს, რომ ერის კაცთა შორისაც ბევრნი არიან, რომლებიც სასმელ-საჭმელისათვის ბევრს ზრუნავენ.

იყავ თავდაჭერილი ზენი ტანთ-საცმელის შესახებაც: ის უნდა იყვეს სუფთა და სასიამოვნო, მაგრამ გახსოვდეს, რომ უნდა იყვეს ეკკლესიურ წესდებისა და ჩვეულების შესაფერი სახის. ნუ ემს-გავსები იმ სამღვდელო-მოსამსახურეთა, რომლებიც იმოსებიან მდიდრულად, ძვირფასი ქსოვილებით, და საზოგადო შეკრებულებაში გამოდიან მსოფლიური მედიდურობით.

იყავ ზომიერი დროს ხმარებაშიაც, უმეტესად თავისუფალი დროის. დასვენება ხანგრძლივი შრომის შემდეგ მიუცილებელია ზენთვისაც, მაგრამ ამით ზენ უნდა შეიტოვო დახარჯული ძალ-ლონე, უნდა გამაგრდე დასუსტების შემდეგ, რომ ახალი ძალ-ლონით იწყო ისევ შრომა.

ზოგი ჩემი ჩამღვდელო მოსამსახურეთაგანი იმიტომ ცხოვრობენ, რომ დრო ატარონ და იმხიარულონ. მხიარული საზოგადოება, თავის შექცევა, ჯველაფრით თავისუფლება, დღითი დღე სიამოვნება, — ა რა შეადგნენ მათ საჭმიანობას. თავიანთი ამაო ჩვეულებით იგინი არაფრით არ განირჩევიან ერის-გან უსაქმურთაგან, რომლებმაც არ იყიან, როგორ მოიხმარონ ცხოვრების ხანი. მათი გული ვერ გრძნობს სიამოვნებას საქველ-მოქმედო სამსახურისაგან, ვერც სამღვთო მაღლის მიღებით. მაშასადამე მიუცილებელი საჭიროა მათვის ხელოვნური, განუწყვეტილი თავის შექცევა, უამისოდ იგინი ვერ აიტანენ სიმძიმეს მცონარე და უსაქმური ცხოვრებისას.

გახსოვდეს, მღვდელო, ზენ, როგორც ერთ-გული და მშრომელი მოსამსახურე, გართობასა და მოსვენებას იმდენად საჭიროებ, რამდენადაც საკმარისია ეს ზენი დალლილი სხეულის გამოსაღონიერებლად. გახსოვდეს ამასთან, რომ მე ვაახლებ ზენს ძალ-ლონეს, გეხმარები, გამაგრებ და გიმსუბუქებ

ტვირთს განუწყვეტილის შრომისაც მღვდლობის სამსახურში.

ნუ დაივიწყებ აგრეთვე, რომ ის მღვდელ-მოსამსახურენი, რომლებიც უგუნურად ფლანგავენ ქონებას მდიდრულ ავეჯებში, გამოუდევარ წიგნებ-ში, რჩეულ საჭმელებში, მდიდრულ ტანთსაცმელებში და ძვირად ღირებულ გასართობებში, უფრო მეტს ნაყოფს მოატანინებდენ თავიანთ ქონებას, რომ კეთილ საჭმეზედ მოიხმარდენ. თავიანთი მახლობელ-მეზობლის სულის საცხოვნებელ და სხეულის დამფარველ მოთხოვნილებას რომ მოახმარდენ, ამით უფრო მეტ ფას-დაუდებელ ღვაწლს დასდებ-დენ და მაღლს მოიხვეჭდენ ღვთისაგან. გახსოვდეს, მღვდელო, რომ ცოდვა და უგუნურობაა ეკკლესიის მწყემსისათვის, როდესაც ის თვისი მდიდრული მორთულობით მრევლთა გულში შეტა და ძაგებას ბადებს.

ერიდე უსარგებლო და თავ-მოყვარულს სურვილს გაიგო, გამოიკითხო, იკვლიო ის, რაც არ არგებს ზენს მღვდელობის სამსახურს. ჩემი ეკკლესიის მოსამსახურე ყველაზედ მაღლა უნდა აყენებდეს იმ შრომას, რომელიც სულს უნათლებს როგორც მას, ისე მის სამწყსოსაც.

ერთი კიდევ საჭირო სწავლება! მოებყარ ფრთხილად და მეცარად თავის თავს, როდესაც ხედავ, რომ გიზიდავს ისეთი საბრხე, რომელიც გარყვნის გულის სიწმიდეს. უმთავრესი ფარი ასეთ შემთხვევაში თავის განწირვა არის.

თავი 10. სულის სიგლაზაკე.

1. მე ვიკალე გამოქვაბულში შობა, ბაგაში ჩაწევნა და არტახებში შეხვევა. ჩემი სიყმაწვილე სილარიბეში და სილატაკეში გავატარე. საზოგადოდ ჩემი ცხოვრება ერთ სილარიბეს ხატავს. ზოგჯერ იმდენად შესამჩნევი იყო ეს სილატაკე, რომ სამართლიანად შემეძლო მეთქვა: „გველთა ხვრელი უჩნს და ფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქვს, საღა თავი მიიღოკოს“ (მატ. 8, 29).

მე ეს სილატაკე იმიტომ შევიყვარე, რომ მაგალითად დამედვა ჩემ მიმდევართათვის, რომ არ გატაცებულიყვნენ ქვეყნიური სიმდიდრით. ამ გვარი დაუდევარნი უნდა იყვნენ ქვეყნიური სიმდიდრის მოხვეჭაში ყველა ჩემი მიმდევარნი, მაგრამ უმეტესად ჩემი მახლობელნი—მწყემსი ჩემის ეკკლესიისა.

თუ შენ ყურს უგდებ გრძნობის ხმას, თუ შენ გჯერა მისი ცრუ მოძღვრება, მაშინ, რასაკვირველია, დარწმუნდები, რომ ყველაზედ უდიდესი ბეჭნიერება კაცისათვის მდიდრული ცხოვრება და ბევრი ფულების მოხვეჭა. ასეთია სიბრძნე ამა სოფლისა. მაგრამ ჩატიქრდი და შეიგნე, რომ არ ყოფილა და არც არსებობს სიბრძნე უმაღლესი ჩემს მაგალითზე.

2. დაკვირდი გულ-დასმით. უმაღლესი წმიდანები, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით სარგებლობა მისცეს ჩემს ეკელესიას, ისინი იყვნენ, რომლებმაც ჩემებრ თავიანთი ცხოვრება სიღატა-კეში დალიეს, ან და ისინი, რომლებმაც თავიანთი სურვილით ხელი აიღეს სიმღიდრე-ფუფუნებაზე. რამდენად უფრო მეტად ყოფდენ ვარს თავისათვეს, იმდენად უფრო მეტად მაღიდებლნენ და ავრცელებ-დნენ ჩემს დიდებას. მე ის ვარ, რომელმაც არარა-ისაგან შევქმნ ყოველივე. ჩემს მოქმედებაში ეს განგება და კანონი მოქმედებს.

გიყვარდეს, მღვდელო, სიღარიბე, იცხოვრე ისე, რომ თვალშინ გედგას სახე სულით გლახაკისა. ღვთაებრივი მშვიდობის ყოფლობა გაქვდეს სულის სიღრმეში მაშინაც, როდესაც ვარდები სიღარიბეში და მოგდის ნივთიერი ზარალი, რომელიც დიდ მწუხარებაში აგდებს იმ გვამებს, რომელთაც ავიწ-ყდებათ ჩემი მცნება და მოძღვრება სულით გლახა-კობაზე.

თუ შენი გული მოწყვეტილი იქნება ქვეყნიურ სიმღიდრის სიხარბესაგან, მაშინ შენ არასოდეს არ მოგაკლდება რაც საჭიროა შენთვის. პირ იქით, რაც მეტად და მეტად გაძლიერდება თავგანწირულება შენის სულის სიღრმეში, მით უფრო მღიდ-რად მოგენიჭება ჩემი მაღლი, და მით უფრო მეტად გაგაძლიერებს ჩემი მფარველობა.

ჩააკვირდი ჩემს ცხოვრებას და შენ ნახავ, რომ რამდენად უფრო მეტად უძლიერდებოდა ჩემს მოწაფეებს რწმენა ჩემდა მომართ, მით უფრო დამოუკიდებელი ხდებოდენ ყველაფრთ. ერთხელ ვკით-ხე ჩემს მოციქულებს, თუ რა საჭიროებას ითმენ-დნენ, როდესაც ვგზავნილი მათ საქადაგებლად მოუწყობლად ნივთიერის მხრით, უხარჯოდ. რა პასუხს მაძლევდენ მერე ამ კითხვაზე იგინი? სრულიად არაფერს არ უჩიოდენ.

3. უანგარობა, რომელსაც მე გამცნებ, მღვდე-ლო, იმდენზე არ ვრცელდება, რომ შენ აკრძალუ-

ლი გქონდეს შენი მღვდელობის სამსახურის ნაყო-ფით ცხოვრება. ამას გაკუთნებს სამართლიანობაცა და შენი ლირსებაც. ერთი ჩემ მოციქულებთაგან იმის შესახებ განსაკუთრებულს დარიგებას აძლევს ჩემ მიმღევრებს (ვინმე სადა საგრძნო თვისითა საგ-ზლითა? ვინ დაასხის ვენაზი და ნაყოფისა მისგან არა სჭამის? ან ვინ მწყესის სამწყელოსა და რძისა მისგან სამწყელოთასა არ სჭამის? არა უწყიოთ, რამე-თუ რომელი იგი ბაგინსა მსახურებენ ბაგინისაგან სჭამინ? და რომელი საკურთხეველსა წინაშე სდგი-ნედ, საკურთხევლისაგან ნაწილი განილიან? ა. კორინ. 9, 7, 13). ყოველს შემთხვევაში შენს მოვალეობას ნუ ასრულებ იმ მიზნით, რომ სამაგიეროდ ნივთი-ერს სასყიდელს მიიღებ. ასრულე შენი სამსახური მხოლოდ ერთი ჩემი დიდებისათვის, და სრულიად ნუ გაქვს სახეში ნივთიერი სასყიდელი. ისარგებლე ამ სასყიდლით მოთხოვნილების დასაკმაყოფილებ-ლად, როდესაც მას ნება-ყოფლობით გაძლევენ. ნურასოდეს ნუ გაიხდი ნივთიერ სასყიდელს შენი სამღვდელო მოქმედების მიზნად, არამც თუ პირვე-ლად, არამედ ნურც მეორე ხარისხოვანად.

ან კი რა მოსახრებით უნდა დასახო ეს მეორე ხარისხოვან მიზნად? მიხედე სახლის უფალის ერთ-გულ მონას. ერთ-გული მონა სკდილობს ასიამოვ-ნოს სახლის უფალს, და მოქმედობს იმას, რაც ასიამოვნებს უფროსს. გულკეთილი და ერთგული მონა არასოდეს არ ფიქრობს ნივთიერ სასყიდელზე, რომელიც მოელის მას მისი ერთგული შრომისა-თვის.

მოუხერხებელიც არის, რომ ეს მეორე ხარის-ხოვან მიზნად დაიდეა. მაშინ მარად უამ უნდა ში-შობდე, რომ ვერცხლის მოყვარეობის სენმა შენდა შეუმჩნევლად ეს მეორე ხარისხის მიზანი პირველად არ გარდაგიქმნას.

(შემდეგი იქნება)



შეწირულებანი.

I.

მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთი „მწყემსის“ საშუალებით მაღლობა გამოუცხადოთ სოფ. ზოდში მცხოვრებს აზ. სისო მ. გამყრელიძეს, რომელმაც შემოსწირა ოწმუნებულს ჩემდამო ხვაშითის ზედმიწერილს წმ. გიორგის ეკკლესიას ბარძიმ-ფეშუმი თავისის გაწყობილებით; გლეხს მოსე ბუზალაძეს, რომელმაც შემოსწირა იმავე ეკკლესიას სახარება; უკვე გარდაცვალებული მღვდლის გრიგოლ გელბახიანის მქონების, — მატრონა ყაველაშვილის ასულს, რომელმაც შემოსწირა დაფარნები და აზ. გამრივილ ყ. გამყრელიძეს, ფულად სამრ მანეთის შემოსწირვისთვის.

მღ. მოსე ყაველაშვილი.

II.

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთი „მწყემსის“ საშუალებით, მაღლობა გამოუცხადოთ სოფ. ხირხონის მცხოვრებს ბასილ ალ. ხომასურიძეს, რომელმაც შემოსწირა ოწმუნებულს ჩემდამო ახლად გახსნილს სხიერის წმ. გიორგის ეკკლესიის სამრევლო სკოლას თორმეტი მანეთის წიგნები.

სამრ. სკოლის მასწ. შიო რეხვიაშვილი.

III.

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთი „მწყემსის“ საშუალებით, უგულითადესი მაღლობა გამოუცხადოთ, როგორც მე, ისე ოწმუნებულმა ჩემდამო ს. დიხაშხოს სამების ეკკლესიის სამრევლომ, ვანის საზოგადოების მამასახლისს ბ. ვაგენი ან. მაღლაკელიძეს, რომელმაც ზემოხსენებულ ეკკლესიას შემოსწირა ერთი კარგი გარდამოხსნა, ღირებული შვიდ თუმნად.

მღ. თეოფ. ნადირაძე.

რედაქციის პასუხისმგებელი გიორგი გოგიანი

შრ. ბ. ბ. ბ. ბ—ლიძეს. სახარება ხალხის სამთხვევათ ამბიონის ქვემოთ დასვენდება, იქ უნდა მივიღენ ქალები და კაცებიც და ემთხვიონ. ერის კაცს არ შეუძლია, რომ სახარება აასვენოს და ქალები ამთხვიოს. თუ ეს სრულდება თქვენს ეკკლესიაში, იმას ამტკიცებს, რომ ამ ეკკლესის კრებულმა თავის მოვალეობა და ტიბიკონი სუსტად იცის და ბლალობინმა უნდა მიაქციოს ყურადღება.

სამრ. სკ. მასწ. ბ. ვა—ქეს. თუ მასწავლებელს იმდენი გავლენა არა აქვს თავის მოწაფებზე, რომ ვერ მოაშლევინებს თქვენგან აწერილ საქციელს, გაზეთში დაბეჭდით სულ შეუძლებელი იქნება.

მღ. ილ. მაჭ—შეილს. თქვენგან აღნიშნული მოვლენანი მართლა რომ ხალხს საქმეს უჭირვებს, მაგრამ მიზეზებიც ბევრია ჩენი ხალხის დამაქვეითებელი და დამაბეჭივებელი. თქვენგან დასახელებული მიზეზები შედეგია სხვა უპირველეს მიზეზთა და ამისათვის პირველად მათზე უნდა ითქვას რამე.

რამდენიმე ცნობის მოყვარეთა. იმერეთის სამეფოის რუსეთთან ასი წლის შეერთებას კიდევ რვა წლიწადი აკლია, რადგან იმერეთში შეფე სოლომონ მეორე 1808 წლამდე იყო და მართავდა იმერეთის სამეფოს.

შეიღება ხელი-მოწვევა 1901 წლისთვის ორ
ავირეულ გამოცემას კანონულს

„მარტი“^{“-ზე”}

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 გ.	6 თვით «მწყემსი» 2 გ.
— „, რუსული „, 3 გ.	— „, რუსული „, 2 გ.
— „, ორივე გამოცემა 5 გ.	— „, ორივე გამოცემა 3 გ.

თამართ ხელის-მოწერა შეიძლება ჩოგორუ კვირიდაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კონცერნის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შოთ ქურუაშვილთან. ფოთში — დეკანოზ ბ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩხერეში — ყ. რაიან ჩერეძეთან; ახალციხეში — ლევანოზ დ. ხახუტოვთან; ახალხესნავში — ბლალაჩინ მამა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლარიპით გამჭვიერები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გასოცემა სამ განვთავ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში დეისაძის სახლებში და კვირიდაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გ. ი. შემცრაულებობა კურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღნესით: Въ Еврилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიბოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

1901 წლის ხელის მომწერთ **პრემიად** (საჩუქრად) აქვთ დანიშნული დიდი სურათი ყოვლად სამლენელო ლეონიდისა, იმის მსგავსი, როგორიც არიან შოთა რუსთაველისა და თამარის. ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ფოსტის ზედ-მეტ ხარჯად ორი შაური. ამ პრემიის გასავავინი.

კერძო საავათოებო აგგულატორის ინსტიტუტი

ს. გ. მოცურისის.
ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლო. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენიო ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენიო ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმუოფებს მიიღებს
მ. ს. ბ. თოცურის.

ქირირგიულ შარდით სიფილისით და თვალების ავათმყოფობისათვის.

მ. ფ. ბ. გერეატი.

დედაქაცურ ავათმუოფთა და საბებით ქალი.
მ. გ. ფ. კოგანი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 გ. ღღე და დამე ქირა საავათმუოფოში სრული სარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ავერაციის ფასი გარიგებაზეა. სამკურნალოს ღირებულების ს. ბ. თოცურის.

შ ი ნ ა ს ი 0 :

დაილოდინატური განეოცილება: ქრისტე აღსდგა! — ჩენი მოლოდინი, მადლობა ღმერთს, აღსრულდა, ღეკ. დ. ღმიბაშიძისა. — პილატეს სიკვდილი — ბიბლიოგრაფია, ღრმებით ჩრდილოები ს. გ. სა. — ურნალ-გაზეთებიდგან.

დავლა და გეცინერგა რჩისტიანობაზ სარჯა-ნებებასა და გაცილ-გეცინაზე: ხმა მაცხოველისა ეკვლესის მწყემსისადმი. — რედაქციის პასუხი. — შეწირულებანი. — განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ლ. ლამბაშიძე.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 16 Апрѣля 1901 г. ♦ Цензоръ прот. Е. Еліевъ

Типог. редакции журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.